



№ 17 თბილისი საქართველო 1963

საბავშვო

გამოცემა 41-ე წელი, ფასი 20 კპვ.

რესპუბლიკის ზოგიერთი საწარმოო სამმართველო ვერ იყენებს მიმდინარე წლის შესანიშნავ პირობებს და შეუწყნარებელი ჩამორჩენა აქვს ბუნებრივი და ნუთესი ბალახების თიბვისა და დაზინვის საქმეში.

— წადი, ბოხოლა, ბალახი ბლომად და ჰამე რამდენიც გინდა, ზამთარში კი არ გამაგონო შენი ბლავილი!



კონსტიტუციონალიზმი



ახე მილიონი ერთი

ჰიუგოს რომანის „საბრალონის“ გმირმა, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებებს მოკლებულმა მედუქნე ტენარდიემ და მისმა გარეწარმა მეუღლემ პაწაწინა კონსტიტუციონალიზმის იდეას, მაშინვე თავიანთი უფროსი ქალიშვილებისა და ოჯახის ხელზე მოსამსახურედ აქცევს.

საითაც უბრძანებდნენ, იქით უნდა წათრეულიყო „გომბიო“, არსად იყო მისთვის მოსვენება, არსად იყო მისთვის ძილი, არსად იყო მისთვის ადამიანური ალერსის ნატამალი!

იყო დრო, ბნელით მოცული, წყვეული დრო, რაც ჩვენში დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა, დიდი ხანია გადაშენდნენ ჩვენებური ბატონი და ქალბატონი ტენარდიეები, მაგრამ, თურმე ნუ იტყვი, აქა-იქ კიდევ შემორჩენილან, საუბედუროდ, შემორჩენილან და მოუნახავთ კონსტიტუციონალიზმს, და ეს იყო 1944 წელს, როცა ჩვენი ამბავი იწყება, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლეთში ცხოვრობდნენ ალექსანდრე ბერულავა და მისი ყოვლადპატივცემული მეუღლე ოლია ზოდელავა. ჰქონდათ პირადი მეურნეობაც, ჰყავდათ ბავშვებიც, დროდადრო მუშაობდნენ კოლმეურნეობაშიც. მაგრამ, მუშახელის სიღირსოვნეს განვიცდით და მიაკითხეს სოხუმის ბავშვთა სახლს — იქ ტენარდიე-ბერულავას არჩევანი 7 წლის ვალია ივანოვანაზე შეჩერდა.

ფრონტის ხაზიდან ევაკუირებული ვალია თავისი ხუთი წლის ძმით ობლად დარჩენილა, რადგან მამას სამშობლოს დასაცავად აუსხია აბჯარი და შებრძოლებია მიხაკისფერ ქირს, ხოლო გმირის მეუღლე და ორი ბავშვის დედა — დასნეულებულა და გარდაცვლილა.

ვალიას ხუთი წლის ძმა ხუთი დღით ადრე წაეყვანა ვიღაც ცოლ-ქმარს შეილაღ, ხოლო ვალიას ახლა გამოჩნებოდა „პატრონი“ ცოლ-ქმარ ბერულავების სახით. ასე გაიყარა და-ძმის ცხოვრების გზები და წინასწარ აბა ვის შეეძლო ეთქვა, ვისი საქმე როგორ წაუიდოდა, რომელს რას მოუტანდა მომავალი.

ჩაიყვანა ალექსანდრე ბერულავამ ვალია იქვე სოფელ ბესლეთში და მერე წლების მანძილზე არ შეწყვეტილა:

- წყალი მოიტანე!
 - შეშა მოზიდე!
 - თოხი აიღე და ყანაში წადი!
 - საქონელი მორეკე!
 - კოლმეურნეობაში იმუშავე!
- კონსტიტუციონალიზმის მსგავსად, ვალია რეცხავდა, გვიდა, ალაგებდა, ხე-

ხავდა, უვლიდა „და-ძმებს“, ფრინველებს, საქონელს, საფქვა-ვი მიჭკონდა წისქვილში, აკეთებდა ათასნაირ ხელსაქმეს, მუშაობდა კოლმეურნეობაში და შრომადღეებს კი დედინაცვალი იწერდა, მოვიდოდა შინ დაღლილ-დაქანტული, გაწამებული ბავშვი და ახლა საოჯახო საქმეები უწევდა სულს. არ იყო მისთვის მოსვენება, ძილი და ალერსის ნატამალი.

დილით, თანატოლები სკოლსაკენ რომ გასწევდნენ, ალავის მიღებოდა ვალია და ცხარე ცრემლებად იღვრებოდა, ევედრებოდა „მშობლებს“, გამიშვიტო სკოლაში, მაგრამ გულქვა ადამიანები ყრუ იყვნენ მისი ვედრების მიმართ, არაო, აქ რუსული სკოლა არ არისო, პასუხობდნენ. მერე რა, ქართულ სკოლაში ვისწავლიო, — ძვეწებოდა გოგონა, მაგრამ აგდებული ქვისთვის თავი ჰქონდა შემგერილი ცოლ-ქმარს და აბა რას გახდებოდა უმწეო ბავშვი.



მალე ვალიას „კეთილსმყოფელები“ სოფ. ბაღმარანში გადავიდნენ საცხოვრებლად, იქ იცხოვრეს ერთ ხანს, მერე ცოლ-ქმარს შორის წარმოიშვა „დავა“ და გაიყარნენ ოფიციალურად და ამას ბესლეთსა და ბაღმარანში ორი ოჯახის შენარჩუნება მოჰყვა შედეგად. ქალაქში გაყრილი ცოლ-ქმარი ისევ ისეთივე ცოლ-ქმარად დარჩა, როგორც ადრევე იყვნენ და ვალიაც ისევ ისე მათ შინამოსამსახურედ.

წამოიზარდა ვალია და აი, როცა გაყრილი ცოლ-ქმარი მოსკოვში ბრძანდებოდა, გათხოვდა კოლმეურნე ჭიჭიკო ხვედელიძეზე. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ერთი პატარა ქოხი აიშენა და ვალიამაც იქ გადაიტანა აბლენი წლის სამსახურის სანაზღაუროდ მიღებული „მზითევი“: ერთი გაცრეცილი საცერო, ძირდაკერებული გობი, ერთი წყვილი ლოგინი, ხის საწოლი, 18 კვერცხი, ერთი კრუხი და ერთი თიქანი.

მერე ბავშვი შეეძინა, მერე მძიმედ გახდა ავად და საავადმყოფოში უვლიდა ორი თვის გოგონას. მერე მისი მეუღლე, 21 წლის გაყვანილი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. „მშობლებმა“ რატომღაც ერთ ხანს ნება არ დართეს ვალიას განეცხადებინა ამის შესახებ მილიციაში, ბოლოს ვალიამ დაარღვია მათი ნება-სურვილი და განაცხადა. დაიწყო ძიება, მაგრამ ამაოდ: ცამ ჩაყლაპა ხვედელიძე თუ დედამიწამ ვერაფერი გაიგეს.

დაქვრივებულ ახალგაზრდა ქალს ისევ შინამოსამსახურეობა მოთხოვეს „ქველმოქმედებმა“, მაგრამ გადაჭრილი უარი მიიღეს და დაიწყო ვალიას დამოუკიდებელი ცხოვრება.


ვახვით „საბჭოთა აფხაზეთის“ დახმარებით ვალიამ აღმოაჩინა თავისი ძმა, რომელიც მოქ. ბოკუჩავას ეშვილებინა იმავე რაიონის სოფელ ჯალში და უსაყვარლესი ღვიძლი შვილის დარად გაეზარდა.

ვალია ახლა სწავლობს წერა-კითხვას, „დედა-ენა“ უღევს დღე და ღამე წინ, როცა მართა, მაგრამ, ვინმე შემოვა თუ არა, წიგნს მალავს, რცხვენია, ოცდახუთი წლის ქალი წერა-კითხვას ახლა რომ სწავლობს.

არა, ნუ გრცხვენია, ვალია! რცხვენოდეთ შენს დედობილსა და მამობილს, რომელთაც არ დაგინდეს შენ, თუმცა მათი საქციელი არც კი გაგვირვებია, რადგანაც ისინი, ვინც თავთავიანთი მშობლები არ დაინდეს და საკუთარი სახლიდან გუნაზადი აკვრევენ, ცხადია, შენც არ დაგინდობდნენ.

გრცხვენოდეთ, ბატონო და ქალბატონო ტენარდიეებო, თქვენი უგვანო საქციელის, გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ თქვენც, ბესლეთისა და ბაღმარანის თავაკებო, ტენარდიეთა ავკაცობას რომ წაუყრეთ!

ჩ.ხ. შ. აბაშიძისა



— მანდ რას შემძვრალხარ, ხომ ხედავ კოსტუმები გადაგდებულია, არ ვყიდი!

ი. სოსხველი
ქარაზობი




ფ. 63

— თქვენს მაღაზიაში რას აქვს ყველაზე მეტი მოთხოვნილება?
— საჩივრის წიგნს!



"უნივერსალური
№ 457-ბ"



ნიკოლოზ ყაჭვიშვილი თავის მეგობრებთან ერთად სასტუმრო „ინტურისტის“ რესტორანში ქეიფობდა, როცა მეზობელ მაგიდის მოქიფებმა მიიპყრეს მისი ყურადღება.

— ნიკოლოზ გერმანოვიჩ, თქვენს კამპანიას გაუმარჯოს! — სთქვა მეორე სუფრის თამადამ და მისი სიტყვები ერთხმად გაიმეორეს თანამესუფრეებმაც.

საპასუხო სადღეგრძელო ნიკოლოზ ყაჭვიშვილმაც დალია, რასაც სუფრების გაერთიანება მოჰყვა.

— ეს ვაჟაკი რაზეა დაფიქრებული, რამ დააღონა? — იკითხა ნიკოლოზმა ახალგაზნობილ ოთარ გალუაშვილზე.

— გაჭირვება ადგია. სასამართლო იხილავს მის საქმეს უნებართვოდ აშენებული სახლის ჩამორთმევის შესახებ. — უპასუხეს ოთარის მეგობრებმა.

— სად ააშენე სახლი, მეგობარო, ან ვინ გედავება? — ჰკითხა ნიკოლოზმა.

— წყნეთში. ძველი დავანგრიე და ახალი ავაშენე ჩემი გეგმით და ჩემი გემოვნებით. — უპასუხა ოთარ გალუაშვილმა.

— ნუ გეშინიან, ფიქრი ნუ გაქვს, მაგ საქმეს მე მოგიგვარებ. — დააიმედა ნიკოლოზმა.

— სად, როგორ?! — შეეკითხა თვალუბგაბრწყინებული ოთარი.

— ხელო მოდი ჩემთან სამსახურში, ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში. მე იქ ვმუშაობ მთავარ ინჟინრად.

ამით შეწყდა ამ საკითხზე საუბარი და ქეიფი გაგრძელდა. ქეიფის დამთავრების შემდეგ ოთარ გალუაშვილმა თავის „ვოლგაში“ ჩაისვა ნიკოლოზ ყაჭვიშვილი და სახლში მიიყვანა.

მეორე დღეს ოთარი სამსახურში ეახლა ნ. ყაჭვიშვილს. ამ უკანასკნელმა მაგიდის უჯრიდან ამოიღო ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის განკარგულებათა ბლანკი და შეავსო ოთარ გალუაშვილის სახელზე, თანაც დაასვა № 457-ბ. განკარგულებაში აღნიშნული იყო, რომ ოთარ გალუაშვილს ნება ეძლეოდა დაენგრია თავისი საკუთარი ძველი სახლი და მის ნაცვლად აეშენებინა ახალი სახლი დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

— აი ეს წარადგინე სასამართლოში და შენს მიმართ აღძრულ საქმესაც ბოლო მოეღებ. — უთხრა ნიკოლოზმა, „განკარგულება № 457-ბ“ საზეიმო ვითარებაში გადასცა და რესტორანში შექმნილ მეგობართან ერთად სამადარიჩოთ ისევ რესტორნისკენ გასწია.

ო. გალუაშვილმა „ქვის გამხეთქი“ განკარგულება სასამართლოში წარადგინა. რას ერჩით, კაცს ნებართვა ჰქონიაო, სთქვეს სა-

სამართლოში და საქმე უყოყმანოდ დამთავრდა ოთარის სასარგებლოდ.

ო. გალუაშვილის მანქანას გემო რომ გაუგო ნ. ყაჭვიშვილმა, წყნეთი და მცხეთა უკან ჩამოიტოვა და ახალ-ახალი ადგილები მოიძია საპურმარილოთ.

— შენ სახლს გეგმა სჭირდება, შეიძლება ახლა ამაზე შემოგედან, — უთხრა ნიკოლოზმა ოთარის და გეგმის გასაკეთებლად ცოტადენი გროშები გამოართვა.

სახლის გეგმა თვითონვე შეადგინა ნ. ყაჭვიშვილმა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის სახელით ჩააბარა თანამესუფრეს. არც ამას გაუვა წყალით, უთხრა ოთარის და კვლავ მანქანით გაინაგარდეს ქალაქგარედ.

— შენ ყოფილხარ ჩემი ღმერთი, ნიკოლოზი გერმანოვიჩ, მე როგორ და რით გადაგიხადო ეს სიკეთე, არ ვიცი. — უთხრა სიხარულით აღტაცებულმა ოთარმა და ათჯერ შეუსვენებლად გადაჰკოცნა მეგობარი.

— ამინ შენს მაღლსა. — უთხრა ნიკოლოზმა და საპასუხო კონცით უპასუხა და თან წაიმღერა „გამიშვი, ქვეყნად ვიარო, მე ჩემი გული ვახარო“, მაგრამ რომ არ აცალეს ქვეყნად სიარული და გული, ნაცვლად გახარებისა, ჩაუშხამეს ნიკოლოზს!

ახლა ოთარ ნიკალავერი უშველის ნიკოლოზი გერმანოვიჩს?

3. ნიკოლოზივილი

თეთრწყაროში უამრავი წყალი იღვრება უსარგებლოდ. ხოლო მოსახლეობა შორი მანძილადან ეზიდება სასმელ წყალს.



— გამოდი, შვილო, წყალმა არ წავიღოს!

სხვისთვის სულელი, თავისთვის ჰკვიანი

მთავარი ინჟინრის კაბინეტის კარი მოურიდებლად გაიღო და ოთახში სახეგაბადრული პიმენ გიჟიმურელი შევიდა.

— მაქვს რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადება, რომელიც წარმოებას ასი ათასობით ეკონომიას მისცემს. — დაიწყო მისაღმების გარეშე პიმენმა, პატარა ბიჭივით შეხტა ფანჯრის რაფაზე და ჩარლსტონის ცეკვას შეუდგა. მთავარი ინჟინრის გაოცებისაგან კინაღამ თვალები გადმოსცივდა. პიმენი ხომ ყოველთვის თავისი სერიოზულობით გამოირჩეოდა წარმოებაში. ახლა კი. მას ღვინია და არყის ოხშივარი ამოსდიოდა პირიდან.

— რად უნდა სკამს ოთხი ფეხი, გვეთხებით? განა სამფეხა სკამი ვერ გაუძლებს ადამიანს? რამდენი სკამი გამოდის წელიწადში, მერე და თითო ფეხი რომ გამოვაკლოთ, რამდენი ხის მასალის ეკონომია იქნება? რამდენად შემცირდება თვითღირებულება? რამდენად გადიდება გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა? მაგრამ ეს კიდევ საქმის დასაწყისია. მომავალში სკამს გაუკეთდება ორი ფეხი, შემდეგ ერთი და ბოლოს სულ უფეხო სკამები გამოვა. ასევე მაგიდაც. განა სამფეხა მაგიდა არ შეიძლება, რომ გაკეთდეს? ხომ არსებობს ერთფეხა მაგიდებიც. პოდა, გამარჯობა შენი, მთავარი ინჟინერი, ტყეები რომ ნადგურდება მაგიდებისა და სკამების გულისთვის, რას უშერბები პაერს, საიდან მოგცე ამდენი ჟანგბადი? რით შეცვლი პაერს? ჟანგბადის ბალიშებით? ძალიან ცუდად გიფიქრია, ჟანგბადის ბალიშებზე გგონია ნაკლები მასალა მიდის?

— და განა მარტო ხის მასალა, — განაგრძო ისევ პიმენმა. — რად უნდა ჩანგალს ოთხი წვერი? განა სამწვერიან ჩანგალს ნაკლებად წამოეგება მწვადი? ჩვენ უფრო შორს წავედით, ჩანგალს შეიძლება ჰქონდეს ორი და ერთი წვერიც კი, და ბოლოს, განა ჩვენი თითები ვერ შეცვლიან ჩანგალს? ან იქნებ გგონიათ, რომ ჩვენი სასადი-

ლოს გაქონილი ჩანგლები ჩვენს თითებზე უფრო სუფთაა! კიდევ ერთი დადებითი მხარე აქვს ჩვენს თითებს — ილუნება მაშინ, როდესაც ჩვენ გვინდა, იშლება მაშინ, როცა ჩვენ გვსურს; ჩანგალი კი, საკმარისია დააჭირო ჩვენი სასადილოს რამშტექსს და მოილუნება, შემდეგ კი სცადეთ და გაასწორეთ. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რამდენი ლითონის ეკონომია იქნება, ჩანგალი რომ არ გამოვუშვათ. მაქვს კიდევ ქაღალდის ეკონომიის პროექტიც, რა საჭიროა პაპიროსი, განა სიგარეტი ნაკლები მოსაწევია? ან რა საჭიროა სიგარეტი, განა არ შეიძლება იხმაროს ყველამ ყალიონი?

— ყალიონს ხის მასალა ესაჭიროება, — ჩაურთო მთავარმა ინჟინერმა.

— ხა, ხა, ხა, ხა, — გადაიხარხარა პიმენმა, — რისგან მზადდება ქაღალდი? ხისგან! მერე და არ ჯობია ერთხელ დამზადდეს ყალიონი, ვიდრე ყოველდღიურად დაიწვას ასეული ტონობით ქაღალდი? თქვენ ჩვენი ფლორისა და ფუნის დაუძინებელი მტერი ხართ! — იკვირა მან და მთავარი ინჟინრის ნაცრისფერი დაედო. პიმენი კი ფანჯრის რაფადან ჩამოხტა და კაბინეტის კარის დახურვისათვის თავი არ შეუწყუბებია ისე გავარდა გარეთ.

პიმენ გიჟიმურელი დღე-ღამეზე უმატიებდა სმას. დადგა მისი განთავისუფლების საკითხი. ვინაიდან დირექტორი შვებულებაში იმყოფებოდა, ექვნის შებმა მთავარი ინჟინრის დაევალა.

— თქვენ მე მიპირებთ განთავისუფლებას? კეთილი და პატიოსანი. — დაიწყო პიმენმა ნასვამი კაცის ტონით. — რატომ?

— იმიტომ, რომ თქვენ აღარ მუშაობთ, წარმოებისათვის აღარ არსებობთ, გასაგებია? — მკაცრად უპასუხა მთავარმა ინჟინერმა.

— როგორ თუ აღარ ვარსებობ? ჩემი პროექტი ხის, ქაღალდისა და ლითონის ეკონომიის შესახებ ნაკლებ მნიშვნელოვანია? — ასევე მკაცრად დასვა საკითხი პიმენმა.

— ეგ ჩვენი წარმოების პროფილს სრულენითაც არ შეეხება.

— აჰა, გასაგებია, აი თურმე სად მარხია მადლის თავი! იცით რატომ არ წარმოებდნენ წინადადებები ჩვენი წარმოების პროფილის მიხედვით? თუ არ იცით, გეტყვით. იმიტომ, რომ თქვენ თანავეტორი გამიხდებოდით ხომ არ დაგვიწყებიათ ოსტატ დუგლადის გამოგონება? ჰა? არა, რა თქმა უნდა, არ დაგვიწყებოდით. თქვენ ხომ მას თანავეტორი გაუხდით ნაძალადევად და საკმარისი ფულადი პრემია მიიღეთ. მე ამის შესახებ ზემდგომ ორგანოებს მოვახსენებ.

მთავარი ინჟინრის ენა ჩაუვარდა. პიმენმა კაბინეტი დატოვა.

მთავარმა ინჟინერმა პიმენ გიჟიმურელის განთავისუფლების საკითხი დირექტორის მოადგილეს გადაულოცა, დირექტორის შენ ცვლი და ეგ საქმეც შენს უფლებებში შედიხარ.

— თქვენ გინდათ მე გამანთავისუფლოთ? ხომ არ გავიწყდებათ, რომ მე სპეციალისტი ვარ? არა? ძალიან კარგი. ისიც ხომ კარგად გახსოვთ, რომ თქვენ განათლებით ფილოლოგი ხართ და წარმოების არაფერი გაგეგებათ? რაიონში მასწავლებლად რომ გაგანაწილეს, რატომ ააგდეთ ქვა და რატომ შეუშვირეთ თავი? რატომ აცდენთ აქ ადგილს? მე ამის შესახებ ზემდგომ ორგანოებში დავსვამ საკითხს.

დირექტორის მოადგილეს ენა დაება. პიმენმა კაბინეტში ორპირი ქარი დატოვა.

დირექტორის ჩამოსვლას უნდა დაველოდით. თანამშრომელს უიმისოდ ვერ გავანთავისუფლებთ. თავი დაიზღვია მოადგილემ. ერთი კვირის შემდეგ დირექტორიც ჩამოვიდა.

— როგორ? თქვენი აზრია, რომ მე დავტოვო წარმოება? ვინ გინდათ ჩემს მაგივრად აიყვანოთ? იქნებ თქვენი მამიდაშვილი, ამ ორი თვის წინათ რომ გაანთავისუფლეს ციხიდან, აი ის, გაფლანგვისათვის რომ იჯდა. ცოტა ზედმეტი ხომ არ მოგივათ, საწყობის გამგე თქვენი ცოლისძმმა, ბულაქტეი ალალი ბიძაშვილია, ძმა ექსპედიტორია, დეიდაშვილი წუნმდებელია, სიძე მომმარაგებელია, მხოლოდ მდივანი გყავთ არანათესავი, ალბათ იმიტომ, რომ ნათესავთან არ შეიძლება რომანი, მე ამის შესახებ დიდი ხანია ზემდგომ ორგანოებისთვის მინდოდა მეცნობებია, მაგრამ თავს ვიკავებდი. ახლა კი მიზეზი მომეცა. დაწერეთ ბრძანება!

დირექტორს გააყრდნო.

პიმენი კაბინეტიდან გავიდა. დირექტორი მორჩილად წამოიდა საგარდლიდან და კარი მოიხურა. ეს საკითხი ტრესტმა უნდა გადაწყვიტოს, მე უფლება არა მაქვსო, ხელი დაიბანა დირექტორმა. მალე პიმენი ტრესტის მმართველის წინაშე წარსდგა.

— როგორც გავიგე, თქვენ გინდათ გამანთავისუფლოთ, ბატონი ბრძანდებით, მაგრამ ხომ არ აჯობებდა გაგნთავისუფლებით აგრონომი, რომელიც ჩვენს წარმოებას სრულებით არ ესაჭიროება? დიახ, დიახ, ამას წინათ შტატი რომ დაუმატეთ და თქვენი უქნარა ძმისშვილი რომ გამოუზავნეთ, ჰა? მე ამის შესახებ ზემდგომ ორგანოებს მოვახსენებ. რატომ გაფიქრდით? თუ არ შეწყუბებთ, კარი გამიღეთ, მე მიპირს ინგლისური გასაღებით დაკეტილი კარის გაღება.

მმართველი დაბნეული წამოიდა და კარი გაუღო გიჟიმურელს.

დღეები კვირებს ქმნიდნენ, კვირები — თვეებს, პიმენ გიჟიმურელი კი ისევ წარმოებაში იყო, ღებულობდა ხელფასს და ხანდახან პრემიებსაც კი.

მისი მოხსნის საკითხი სამინისტროში გადავიდა, აქ ერთხელ კიდევ გაფართოვდა პიმენი, თქვენ წარმოებაში ასეთი და ისეთი თანამშრომლები გყავთო, მაგრამ სამინისტროში ასეთი და იქეთი თანამშრომლებიც დასაჯეს და პიმენ გიჟიმურელსაც მოუხურეს წარმოების კარი. ყველა კაკალი ვერ გატეხა პიმენმა.

გ. პატარაძე

ახალი

თეატრი

კინო

მუსიკა

საქართველოს
საბჭოთაო კულტურის

...რომ ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის კოლმეურნეობას აქვს კეთილმოწყობილი ბენზინის საწყობი. საწყობი ფიცრით არის გაკეთებული და არ გააჩნია სასურავი, რის გამოც წვიმა თავისუფლად დაედინება ბენზინის ტურბელს. ეს გარემოება გამორიცხავს სახანძრო დაცვის მოწყობის აუცილებლობას. წვიმიან ამინდში მანქანები ადვილად მიდიან საწყობთან, მაგრამ ბუქსირის გარეშე გამოსვლა უძნელდებათ, რაც საწყობის ტერიტორიაზე მანქანების დაგროვებას, მხიარულ შეძახილებს, ყვირილებსა და შრომის ნაყოფიერების ზრდას იწვევს.

...რომ ქ. ქუთაისის 14 აფთიაქსა და სამ სააფთიაქო მაღაზიაში უკვალოდ გაქრა ვიტამინები. სამაგიეროდ, აფთიაქის ვიტრინებში ბლომადაა გამოკრული ვიტამინების ფერადი სურათები.

...რომ პირველი მაისის რაიონის საბინაო სამმართველო №17 სახლმმართველობასთან ერთად ატარებს ცდას აკაცი წერეთლის პროსპექტ №46 მობინადრეებზე. ცდის მიზანია დაადგინოს, თუ რამდენ ხანს გაუძლებენ ხსენებული სახლის მობინადრეები კნტისანიტარიას, გუბეებს, დამპალ სახურავებს, ჩამონგრეულ ჭერებს და, რაც მთავარია, საპირფარეოს უქონლობას.

...რომ გურჯაანის რაიონის სოფელ კოლაგს არ ესაჭიროება კლუბი, რადგანაც დიდი ხანია ყველა ღონისძიება ტარდება ღია ცისქვეშ წვიმაში, სეტყვაში და მზიან ამინდში, რასაც სოფლის მოსახლეობა მშვენივრად უძლებს.

ასევე კარგად უძლებენ ღუშეთის რაიონის სოფელ ილტოზის მცხოვრებლები რადიოსა და ელექტროგანათების გარეშე ცხოვრებას და ამის გამო არავითარ პრეტენზიებს არ გამოთქვამენ. ისინი ახალი ამბების მოსამყენად მეზობლად მდებარე სოფელ ქსოვრისში დადიან.

...რომ ზოგიერთი ადამიანები განსაცვიფრებლად უძლებენ წყურვილს. ესენი არიან ღუშეთის რაიონის სოფელ ვაზიანის,

გარდაბნის რაიონის სოფელ ახალი სამგორისა და გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხის მცხოვრებლები. მათ გამძლეობას თვით წყალთა მეურნეობის მუშაკებიც კი განცვიფრებაში მოჰყავს.

...რომ სოფელ პატარა ჩინაიშის ფოსტალიონმა არიანა აბზიანიძემ შეიმუშავა ფოსტის დარიგების საკუთარი მეთოდი. იგი წერილებს წისქვილში ან რესტორანში ტოვებს. სოფლის მცხოვრებლებს ერთი და იგივე დროს რესტორანში სადილობისა და წერილის მიღების საშუალება ეძლევათ, რითაც კმაყოფილები არიან. მეთოდს მხოლოდ ერთი ნაკლი გააჩნია. რა ქნან სოფლის მცხოვრებლებმა, თუკი მათ წისქვილში არაფერი საქმე არ გააჩნიათ. ეს საკითხი შემდგომ დამუშავებას მოითხოვს.

...რომ გეგეჭკორის რაიონის სოფელ თამაკონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ 120 ჰექტარის ნაცვლად 60 ჰექტარზე დათესა სიმინდი. აქედან სულ რაღაც 40 ჰექტარი დარჩა გაუთოხნავი და გაფუჭდა. ამ მიღწევებთან დაკავშირებით კოლმეურნეობის თავმჯდომარე ივლის-აგვისტოში აგარაკზე ისვენებდა.

...რომ რესპუბლიკაში ყველაზე კეთილმოწყობილი ქუჩის სახელის მოპოვებისათვის სხვა ქუჩებთან ერთად წარმატებით იბრძვიან კლდიაშვილისა და რიონჰესის ქუჩები ქ. ქუთაისში და ქებურას შესახვევი ქ. თბილისში. ბოლო დროს შეჯიბრებაში ჩაება გარდაბნის რაიონის ორხევის ერთ-ერთი ქუჩა, რომელსაც დროებით ინდივიდუალურ მშენებელთა ქუჩა ეწოდება. ამ უკანასკნელს გამარჯვების მცირე მანსები გააჩნია, რადგანაც ტალახის, სიბინძურისა და გაუვალობის მეტი არაფერი ახასიათებს, მაშინ როდესაც ქებურას შესახვევი, გარდა ზემონათქვამისა, მიწითა და ღორღით არის დაფარული, ხოლო კლდიაშვილის (ყოფ. წყალსადენის) ქუჩაზე ქ. ქუთაისში მთელი მდინარე მოედინება.




შვილის არჩევანი

— რა კაცს მიჰყვები, შვილო, — ჰკითხა მამამ ქალიშვილს, — როგორ ცხოვრობს შენი საქმრო?
— როგორ და მხეცივით. — ამაყად მიუგო ქალიშვილმა.
— ემ, — ამოიხსრა მამამ, — მე კი ადამიანური ცხოვრებისთვის გზრდიდი.
უღავრო საბუთი
ახალმოზინადრე ვაჟთან ვიღაც ქალი მოვიდა.
— ვინ არის, — დაინტერესდა მეზობლის ცოლი. — ნათესავები არიან თუ...
— ცოლ-ქმარია, — დარწმუნებით უთხრა ქმარმა, — არ გესმის, როგორ ჩხუბობენ?

მისა შილდაელი

ა. ბასილაია



უბექსო ხუმრობა.

რედაქტორი ნ. შველიძე. **სარედაქციო კოლეგია:** ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. კელიძე. საქ. კ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ყურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ньянги“. **რედაქციის მისამართი:** რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—2-10-49

ხელმოწ. დასაბ. 31/VIII-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1848, უფ 07257. ტირაჟი 40.000

უაშისტური რეჟიმის წინააღმდეგობის არალეგალური მოძრაობის ლიდერები პორტუგალიაში და პორტუგალიის კოლონიების განთავისუფლებისათვის მებრძოლები აფრიკაში მოლაპარაკებას აწარმოებენ. შეთანხმებული მოქმედების შესახებ, ამ ახალი ამბის შესწავლასთან ერთად, რომ სალზარის რეჟიმის თეთრკანიანთა და შავკანიანთა ოპოზიციამ პირველად დაიწყო მოლაპარაკება იმისათვის, რომ გაერთიანდნენ.



სალზარის საზარელი დღე.